განმარტებითი ბარათი

თელავის მუნიციპალიტეტის 2021 წლის 29 დეკემბრის № 03 დადგენილებაში „თელავის მუნიციპალიტეტის 2022 წლის პროგრამული ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე

თელავის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ ინიცირებული პროექტი ეხება თელავის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტში ცვლილებების შეტანას, რომლის ძირითადი მოტივი მდგომარეობს ახალი წლის დღესასწაულთან დაკავშირებით თანხების მობილიზებაში.

თელავის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი ცვლილებების გათვალისწინებით განისაზღვროს 79213.82 ათასი ლარის ოდენობით.

მოხდეს ცვლილება ბიუჯეტის გადასახდელებში:

შემცირდეს გზების კაპიტალური შეკეთების (კოდი 02 01 01) არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლი 70,0 ათასი ლარით, ეკონომიების გათვალისწინებით;

შემცირდეს სკოლამდელი განათლების დაწესებულებების რეაბილიტაცია, მშენებლობის (კოდი 04 02) არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლი 25,0 ათასი ლარით, ეკონომიების და გამოთავისუფლებული თანხის გათვალისწინებით;

შემცირდეს კულტურის ობიექტების აღჭურვა, რეაბილიტაცია, მშენებლობის (კოდი 05 02 02) არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლი 5,0 ათასი ლარით, ეკონომიების გათვალისწინებით;

გაიზარდოს კულტურის ორგანიზაციების ხელშეწყობის (კოდი 05 02 01) კერძოდ, ა(ა)იპ ზაირა არსენიშვილის სახელობის თელავის მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრის დაფინანსების სუბსიდიის მუხლი 100,0 ათასი ლარით, ახალი წლის დღესასწაულთან დაკავშირებით საახალწლო განათებების შესაძენად.